სახელმწიფო სამსახურის
მართვისა და მოსამსახურეთა
მომზადების, გადამზადების და
კვალიფიკაციის ამაღლების
ცენტრი

CENTER
FOR CIVIL SERVICE
CONSULTING AND TRAINING

ვ. ბერიძის 6
№ 06/15

Tel: 93-36-93, 99-61-58
„27" აგვისტო 2006 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა **ეკატერინე ნაცვლიშვილს** მასზედ, რომ იგი მუშაობს **სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში:**

– 2000 წლის 4 მაისიდან 2001 წლის 31 დეკემბრამდე მეცნიერ-კონსულტანის თანამდებობაზე

– 2002 წლის 1 იანვრიდან დღემდე სასწავლო-მეთოდური განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

ე. ნაცვლიშვილი, მის მიერ დაკავებული თანამდებობრივი უფლებამოვალეობებიდან გამომდინარე, ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ და საორგანიზაციო-მმართველობით საქმიანობას და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის პროგრამულ, მეთოდურ და რესურსულ უზრუნველყოფაზე, აგრეთვე ტრეინინგ-კურსის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელების პროცესის მონიტორინგზე.

ცენტრში ექვსწლიანი მუშაობის მანძილზე ე. ნაცვლიშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და **უშუალოდ მონაწილეობს სახელმწიფო** მოხელეთა მომზადება-გადამზადების მიზნით ორგანიზებულ სასწავლო მოდულების რეალიზაციის პროცესში. იგი უძღვება "ზოგადი მენეჯმენტის" (ორგანიზაციული მენეჯმენტი, პერსონალის მართვა) და "საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის" სასწავლო კურსებს და მსმენელთა კონტიგენტის გათვალისწინებით ატარებს ლექცია-სემინარებს.

ცენტრში მუშაობის მანძილზე ე. ნაცვლიშვილმა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის დაკვეთით წაიკითხა საჯარო ლექციები სახელმწიფო მართვისა და სახელმწიფო საკადრო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე:

"სახელმწიფო საკადრო პოლიტიკა: მიზნები, განხორციელების მიმართულებანი და პერსპექტივები" – საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთათვის (2001წ. ნოემბერი)

"სახელმწიფო მოხელეთა ატესტაცია: განხორციელების მიზნები, მიმართულებანი, სირთულეები და პერსპექტივები", ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომელთათვის (2002წ. ნოემბერი)

"საკადრო პოლიტიკა, საკადრო ტექნოლოგიები და პერსონალის მართვის მიმართულებანი სახელმწიფო სამსახურში", ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის (2005 წ. მაისი)

"საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემა და ინფორმაციის საჯაროობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში", ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის (2005 წ. მაისი)

ცენტრის საქმიანობის ერთიანი სტრატეგიიდან გამომდინარე, ე. ნაცვლიშვილი როგორც მეცნიერი მჭიდროდ თანამშრომლობს სამეცნიერო-მეთოდურ განყოფილებასთან და, გარდა სასწავლო-მეთოდური საქმიანობისა, უშუალოდ მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევითი თუ საექსპერტო-საკონსულტაციო სამუშაოების განხორციელებაში.

საექსპერტო-საკონსულტაციო საქმიანობის მიმართულებით ე. ნაცვლიშვილი მონაწილეობდა სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტებისა და რეგიონული მართვის სტრუქტურების ხელმძღვანელი კადრებისათვის ცენტრის მიერ "მრგვალი მაგიდის" ფორმატით ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებსა და კონფერენციებში:

2001 წ. ივნისი, "სახელმწიფო სამსახურის რეფორმა და მოხელეთა მომზადება"

2002წ. მარტი, "საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის პროგრამა: შენიშვნები და წინადადებები"

2003 წ. მაისი, "საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის რეალიზაციის სტრატეგია"

2004 წ. ოქტომბერი, "საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში "სახელმწიფო მენეჯმენტის" პრაქტიკული აპრობაციის პირობები და პერსპექტივები"

2005 წ. მაისი, "სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა: სრულყოფის მიზნები, მიმართულებანი, ღონისძიებები და პერსპექტივები".

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცენტრში მუშაობის პროცესში ე. ნაცვლიშვილს შესრულებული აქვს რიგი სამუშაოები როგორც მიზნობრივი პროგრამის, ისე საგრანტო დაფინანსების ფარგლებში:

2000 წ-ს მან, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს დაკვეთით, მოამზადა პროექტი: "კადრების სამსახურების როლი სახელმწიფო სამსახურის რეფორმის განხორციელებაში", რომლის ფარგლებში 2001-2002 წ.წ პერსონალის მართვის სფეროში კვალიფიკაცია აიმაღლა როგორც სახელმწიფო დაწესებულებათა კადრების სამსახურების ხელმძღვანელებმა, ასევე აღნიშნული საკითხებით დაინერესებულმა მოხელეებმა.

2000–2003 წ.წ. მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო სამსახურის ბიუროს კურირებით და სამინისტროების დაკვეთით შესრულებულ მიზნობრივ პროგრამაში: "სახელმწიფო სამსახურის დაწესებულებათა საქმიანობის მონიტორინგი". აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ე. ნაცვლიშვილი პასუხისმგებელი იყო მართვის სისტემის რეფორმირებისათვის გაწეული მუშაობის მონიტორინგთან დაკავშირებული საექსპერტო-ანალიტიკური სამუშაოების შესრულებაზე, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების (სამინისტროების) სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო მოდულების შემუშავება-განხორციელებაზე.

2004 წ-ს მან, სახელმწიფო სამსახურის ბიუროს დაკვეთით, შეადგინა სასწავლო მოდული: "ევროკავშირის პოლიტიკა: შინაარსი, პრიორიტეტები, განხორციელების გზები", რომლის განხორციელება მიზნად ისახავდა ევროინტეგრაციის პროცესში ორგანიზაციული თანამშრომლობის საბაზისო ტექნოლოგიათა სახელმწიფო მოხელეთათვის გაცნობასა და

ევროკავშირის სტრუქტურათა საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებში მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

2004–2005 წ.წ. მონაწილეობა მიიღო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო თემის – "საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის კონცეფციის ძირითადი მიმართულების შემუშავება" – შესრულებაში (რომლის შედეგები აისახა ცენტრის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების მიერ მომზადებულ მეთოდურ ნაშრომში: "წინადადებები ადმინისტრაციული რეფორმის კონცეფციის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისათვის"). ე. ნაცვლიშვილი პასუხისმგებელი იყო ადმინისტრაციული აპარატის რეფორმირების მსოფლიო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე სახელმწიფო მართვის მოდერნიზაციის კუთხით რეკომენდაციების მომზადებაზე.

2004–2005 წ.წ. მან მონაწილეობა მიიღო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო თემის – "სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის შეფასების მეთოდური საფუძვლები" – შესრულებაში, (რომლის შედეგები აისახა ცენტრის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების მიერ მომზადებულ მეთოდურ ნაშრომში: "რეკომენდაციები სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმთა დადგენისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკაში გამოყენებისათვის"). იგი პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმთა დადგენასა და თანამდებობრივი ინსტრუქციის გაფორმების ძირითად მოთხოვნათა განსაზღვრასთან დაკავშირებული საექსპერტო-ანალიტიკური სამუშაოების შესრულებაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად.

ცენტრის უფროსის მ.შ. / ა. შარაბიძე /

27 ივლისი, 2006 წ.

ვ.ბერიძის 6
ტ.93-45-37

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკის მართვის სამეცნიერო-საკონსულტაციო ინსტიტუტი

ул.В.Беридзе 6
т.93-45-37

НАУЧНО-КОНСУЛЬТАЦИОННЫЙ ИНСТИТУТ УПРАВЛЕНИЯ ЭКОНОМИКОЙ МИНИСТЕРСТВО ЭКОНОМИКИ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

№ 2-10

"27" თებერვალი 1997 წ.

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ეკატერინე [illegible] ასპ.ნაცვლიშვილს მასზე, რომ მას 1996/97 სასწ. წელს ეკონომიკის მართვის სამეცნიერო-საკონსულტაციო ინსტიტუტში ჩატარებული აქვს ლექცია-კონსულტაციები შემდეგ საკითხებზე:

"მართვის სოციალური და ფსიქოლოგიური საფუძვლები" - 24 სთ.

"სოციალურ სისტემათა თეორია" - 24 სთ.

აგრეთვე ჩატარებული აქვს საჯარო ლექციები:

საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურის მუშაკებთან თემაზე:

"საქმიან ურთიერთობათა ფსიქოლოგია და ეთიკა"

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის მუშაკებთან თემაზე:

"კომუნიკაციების როლი მართვის ეფექტურობაში".

ინსტიტუტის დირექტორი [signature] მ. თურნავა